პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 160
(7471)

18 1983 წ.
აგვისტო
ხუთშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 13 აპრილიდან

● ჩოგბურთი

ევროპელ ჩოგბურთელთა დათვალიერება

ივრაზა. ბალტისპირეთის ცნობილი საკურორტო ქალაქი ახლა ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია — აქ სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა, რომელშიც 9 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ. ევროპელ ჩოგნის ოსტატთა შეჯიბრებები 1969 წლიდან ტარდება, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენები პირველად მასპინძლობენ ამ ასპარეზობას.

ლიეპაიას სტადიონი, სადაც ბერეჯერ გამართულა საკვანძირო და საორთაშორისო ტურნირები, სრულიად გარდაქმნილა: ზღვისპირა წყნეთის ტყეში ჩაფლული ჩოგბურთის ბრწყინვალე სტადიონის ტრიბუნები 10 000 მაყურებელს იტევენ.

მთზრდილთა ტურნირის პარალელურად აქ ევროპის პირველობის შეღწევა გაიმართებენ იუნიორები (20 წლამდე).

პირველ დღეს ყველაზე საინტერესო და დრამატული გამოდგა ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის, დევიდის თასის გათამაშები ჩეხოსლოვაკიის გუნდის წევრის იაროსლავ ნავრატილოვა და მისი ცელი სერგეი ლეონიუკის შეხვედრა. პირველი პარტია სპეციალისტთა ჩოგბურთულ მატჩადა 5:1. მაგრამ დაეთმო ინიციატივა და წაიგო 6:7. პატივ გადამწყვეტ მე-13 გეიმში გაირკვა მეორე პარტიის ბედი, მაგრამ აქაც წარმატებას ლეონიუკმა მიაღწია. მესამე პარტია მშრალი ანგარიშით (6:0) დამთავრდა მთასკილი ჩოგბურთელის საპატივებლოდ. ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი ნავრატილი ბრძოლას გამოეთხა.

ნაკლები ბრძოლა არ დასჭირვებია მოსკოველ ოლგა ზაიცევას, რომელმაც მხოლოდ გადამწყვეტ პარტიაში სძლია რიტა კოჯარჩის (უნგრეთი) — 4:6, 6:4, 6:1. მარცხი იწვნია ვადიმ ბორისოვმა, რომელმაც წაგო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელთან პაველ ვოიტეშკოვთან — 2:6, 7:5, 4:6. დანარჩენი საბჭოთა ჩოგბურთელები დამაჯერებლად გავიდნენ შეჯიბრების მეორე წრეში. (საკლსი).

● ჭადრაკი

უშეღავათოდ

მეორე კვირაა ქ. ქანავერის კონგრეს-ცენტრ „შტადიონში“ გგრ-ის ღია ჩემპიონატი მიმდინარეობს.

ტურნირზე საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ (16 კაცმა) მოიყარა თავი. მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვთან ერთად თამაშობენ დიდოსტატები ო. გიორგაძე, ი. ბალაშოვი (ორივე — სსრ კავშირი), ლ. ქავლაკი (აშშ). გამოსონკა (ჩოლანდია), ი. ლობრონი, ხ. ფლეგორი (ორივე — გგრ), ე. ტორე (ფილიპინები), მ. კინტეროსი (არგენტინა). სამი საერთაშორისო და ოთხი ეროვნული ოსტატი. ფიდე-ს სისტემით ეს შეჯიბრება IX კატეგორიისაა.

მონაწილეებმა უკვე გადალახეს სატურნირო ნახევარი. 8 ტურიდან შემდეგ ლიდერობენ ა. კარპოვი, თ. გიორგაძე — 6-6 ქულა, ი. ბალაშოვი — 5. მას ქულით ჩამორჩებიან ბასტიანი, გლიკი, ოსტერმაიერი, ლობრონი (ყველა — გგრ), ტორე, ცი ცხნგუანი და ჩენ დუ (ორივე — ჩინეთი).

როგორ წარიმართა ბრძოლა ლიდერობისთვის? დაწვრილებითაღე დაწვრილებით ჩვენი თანამემამულე თამაზ გიორგაძე, რომელმაც პირველ დღეს ჩინელ ოსტატ ცი ცხნგუანს სძლია. ბალაშოვთან ყველის შემდეგ თამაზმა ფარ-ხმალი დააყრევინება ბულბულს (ტურნისი), ჰარტმანს (გგრ), ჟველეს და 4,5 ქულით ხელთ იგდო ლიდერობა. ამ დროს კარპოვს მხოლოდ 3 ქულა ჰქონდა. თუ პირველ ტურში დამარცხდა პარტმანთან, მაგრამ შემდეგ მოუკო პლეგერს და დაუზავდა ჟველეკსა და სოსონკოს. ჩემპიონზე ნაკლებარი ქულით მეტი ჰქონდა ლობრონს.

მაშინ, როცა კარპოვი ხელიხელ ამარცხებდა ლობრონს, ტორეს და გლიკეს, ქართველი დიდოსტატი ყაიმებს ხვრეტებოდა (დაუზავდა პლეგერს, სოსონკოს, ჩენ დუს) და მსოფლიო ჩემპიონი დაეწია მას.

მეორე ნახევარში ნაკლებ დაძაბული ბრძოლა ითქვიფა მოსალოდნელი. კარპოვი და გიორგაძე მხოლოდ მოლოდინობა, XIV ტურში შეხვედებიან ერთმანეთს. მანამდე კი ლმობიერ შეეცდებიან ქულთა დიდი მარაგი შეიძინონ. დარჩენილ ტურებში კარპოვი უნდა შეხვდეს კინტეროსს, ბასტიანს, ბალაშოვს, ოსტერმაიერს, ცი ცხნგუანს, გიორგაძესა და ბუბაზს. გიორგაძი — ლობრონს, ტორეს, გლიკეს, კინტეროსს, ბასტიანს, კარპოვსა და ოსტერმაიერს.

IX ტურში კარპოვმა და გიორგაძემ შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს და ლიდერობას განაგრძობენ 6,5-ზ,5 ქულით.

● სროლა

მიღწევა გაიმეორა

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრეზზე მოსკოვში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა ტრადიციულ საორთაშორისო შეჯიბრებაში რეველმა აღქმანტრე ულტიმატებმა ქულით გადააჭარბა შედეგს, რომელმაც მას სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადის ჩემპიონობა მოუპოვა. მაგრამ მის მიერ „ავტეცეულ ტაბზე“ სრულად მოეროველი დიდოსტატური ქულები (593) ტურნირის პირველი პრიზის მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. პროგრამის მე 1ტეობაში მსოფლიო რეკორდი გამეორა და გაიმარჯვა თანაჭაბელმა სერგეი მაკრამა — 595.

დანარჩენ სამ ვარჯიშში პრეველობდნენ მოსკოველები. ვალენტინა კორნეევამ სტანდარტული მცირეკალიბრიანი შაშხანით მრავალ და ფიგურულ სამიზნეებზე სროლაში ქულათა საერთო ჯამი (591) მოაგროვა, ხოლო მატერი შაშხანით სროლაში გამარჯვი იერი ზაფხულიკომ — 588. ხოლო ბორის კორეევი საუკეთესო იყო ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში — 571. (საკლსი).

პირველი დღე, პირველი რეკორდი

ვანსაუელის დედაქალაქ კარაკასში გაიხსნა IX პანამერიკული თამაშები. შეჯიბრების პირველი დღე მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა, კუბელმა ბალოსანმა დაწეულ ნუნიცამა (60 კგ) 138 კგ აჯრა. 24 წლის ჰავანელმა ათლეტმა თავისივე მიღწევა 0,5 კგ-ით გააუმჯობესა. ორჯერის ჯამში ნუნიცამა 300,5 კგ დააგროვა.

სწორედ თავისუფლების ჭიდაობის სპორტსმენების მისცეს ტონი საინტერესო ორთაბრძოლებს. თამაშების პირველ დღეს მათ 12 მედალი მოიპოვეს. აქედან 8 ოქროსი, 1 — ვერცხლისა და 3 — ბრინჯაოსი. ოთხი წლის წინათ პუერტო-რიკოში გამართული თამაშების გამარჯვებულმა აშშ-ის გუნდმა — 10 ქილდი (4, 2, 4) დაიმსახურა. კუბის გუნდი ერთერთი მრავალრიცხოვანია. მის შემადგენლობაშია 412 კაცი.

წწეველნდელმა პანამერიკელმა თამაშებმა — დასაელეთ ნახევარსფეროს ამ უდიდესმა რეგიონულმა შეკრებებამ — ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის 30-ზე მეტი ქვეყნის 5 ათას სპორტსმენს მოუყარა თავი.

(საკლსი).

● ფიზიკური კულტურა და სპორტი — ყოველდღიურ ცხოვრებაში!

სპორტი—მათი თანამგზავრი

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს წყალმომარაგების ნაგებობათა დაცვის დანაყოფის პირადი შემადგენლობისათვის რომ სპორტი მუდმივი თანამგზავრია, ეს კიდევ ერთხელ ცხადყო 14 ივვისტის გამართულმა შიდასპარტაკიადამ.

4 გუნდის 150-ზე მეტი წარმომადგენელი სპორტის 8 სახეობაში ეცილებოდა ერთმანეთს პირადგუნდურ პირველობას. ფიზკულტურის დღისადმი მიძღვნილი ეს დიდი ღონისძიება ორმაგად სახიამო იყო დანაყოფის მებრძოლის მუშაობისთვის. საქმე ისაა, რომ მათ სულ ორიოდე დღის წინათ დაამთავრეს იმ პირადი ტიპის სპორტული კომპლექსის მოწყობა, სადაც ახლა ძალებს ცდიდნენ.

—დეიდაშვილის მილიციის წარმომადგენელი, — თქვა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თ. ცქიტიშვილმა, — ასეთი კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები ჯერჯერობით არსად გვაქვს. დანაყოფის ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარემ, მილიციის პოლკოვნიკმა მ. დგებუაძემ დიდი ენთუზიაზი გამოიჩინა და სპორტის მოყვარულებს კარგი საჩუქარი მოუმზადა.

შეჯიბრება ერთდროულად რამდენიმე სახეობაში დაიწყო. გულშემატკივრებმა უველაზე მრავლად მაინც ფრენბურთის მოედანთან მოიყარეს თავი. 4 გუნდის უმეტეველი ბრძოლაში 1 ადგილი აიღო შესამე ქვეგანყოფილების გუნდმა. 1000 მ-ზე ბეგნაში უველას მილიციის ლეიტენანტმა ვ. აიდაპოვმა აჯობა. გამარჯვებულს სულ 2 წამით ჩამორჩა მერიგე მილიციელი ნ. ქარგარაშვილი. კუნცური I ადგილი ამ დისტანციაზე პირველი ქვეგანყოფილების წარმომადგენელმა ხვედ წილად. მათ I ადგილი დაიკავეს ჭიდაობაშიც — ოთხ წონით კატეგორიაში სცადეს ძალა და ოთხივე შერკინება მოიგეს. ქართული ჭიდაობის ილეთების კარგი ცოდნით, მიიქცია ყურადღება პირველთანრიგოსანმა, მილიციის მერიგე ო. აბრაშვილმა.

კარგად იჭიდავეს მილიციის კაპიტანმა ა. ქამხაძემ, ლეიტენანტმა ვ. აიდაპოვმა, მერიგეებმა ზ. დგებუაძემ, ი. ამრახოვმა, ვ. ფალეშვილმა და სხვებმა.

სიმძიმეების აწევაში ტოლი არ ჰყავდა მილიციის ლეიტენანტ ვ. აიდაპოვს, რომელმაც 24-კილოგრამიანი გირი თავისზემოთ 89-ჯერ ასწია. ოვივე სიმძიმე 65-ჯერ დაიმორჩილეს მილიციის მაიორმა თ. მიქაძემ და მერიგე ი. კურტანიძემ.

ღია სპორტული მოედნებიდან სპარტაკიადის მონაწილეებმა დახურულ სასროლეთზე გადაინაცვლეს, სადაც სამბრძოლო პისტოლეტი სროლაში პირველობა არაფის დაუთმო მილიციის მაიორმა თ. მიქაძემ, გუნდური I ადგილი კი მეორე ქვეგანყოფილების მსროლელებს ეკუთვნ.

საერთო გუნდური I ადგილზე შესამე ქვეგანყოფილების გუნდი გამოვიდა. II და III ადგილების პირველი და მეორე ქვეგანყოფილების წარმომადგენლებმა დაიკავეს.

რ. ფერაძე,
მილიციის კაპიტანი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი შიდასპარტაკიადის მონაწილენი სპორტულ სარბიელზე.





თამაშობენ ვერცხლის პრიზიორები

დღეს გთავაზობთ საჭადრაკო ნაირების წევრების თითო საუკეთესო პარტიას, რომელიც მათ მოპოვრაკეთა სახპარტაკიადო შეჯიბრებაში გათამაშეს. (სარიო შედეგები „ლელოს" 16 აგვისტოს ნომერში). ეს პარტიები თავად შემოგთავაზეს დიდოსტატებმა და ოსტატებმა (სამწუხაროდ, მხოლოდ 5. გურეკნირე ვერ მოგვაწოდა იგი).

სახპარტაკიადო ტურნირის 153 მონაწილემ 1100-ზე მეტი პარტია გათამაშა. მათგან რამდენიმე ათეული პარტიას გარკვეული მნიშვნელობა აქვს თამაშის თეორიისთვის, ზოგი უბრალოდ სიამტკბილობას ანიჭებს მკითხველს, ზოგი უბრალოდ ლამაზია თავისი შინაარსით, ჩანაფიქრის სიღრმით. ამიტომ მიეკუთვნებიან ჩვენი მოკლე ანოტაციების ქვემოთაც ასანები პარტიებიც.

საჭადრაკოების ამაღლებულ შემოქმედებით თამაშს სპარტაკიადაზე თვალსაჩინო სპორტული ჭარმატებაც მოჰყვა. თითოეულმა ორ-ორი ვერცხლის მედალი მიიღო, ვინაიდან სახპარტაკიადო შეჯიბრება ამავე დროს სხვ კავშირის გუნდური ჩემპიონატიც იყო.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ პარტიების გულდასმით გადათამაშება ბადრაკის მოყვარულს დიდ კმაყოფილებას მიანიჭებს.

თ. ბითრაგაძე.



მაია ჩიბურდანიძე

17 იანვარი, 1962. „დინამო" თბილისი. სპორტის ოსტატი (1974), საერთაშორისო ოსტატი (1976, ვაჟთა შორის 1978), საერთაშორისო დიდოსტატი (1977), სხრ კავშირის დიდოსტატი (1978), სპორტის დამსახურებული ოსტატი (1979). მსოფლიო ჩემპიონი 1978 წელიდან. ბოლო ორი სპარტაკიადის მონაწილე.

3. ჩიბურდანიძე — ა. გოლდმანი (ლატვია)

ესპანული დაცვა

მსოფლიო ჩემპიონმა დამაჯერებლად გამოიყენა ღია დაგაზანების ოსტატ ა. გოლდმანის შეფის დასალაშქრავად. ლამაზია პარტიის ფინალი.

1. e4 c5 2. ♘f3 ♘f6 3. e5 d5 4. ♗c3 e6 5. ♕e2 f5 6. ♗c3 ♗c6 7. ♗×d5 e×d5 8. d4 d6 9. e×d6 ♘×d6 ♘×d6 10. d×c5 ♘×c5 11. ♗g5 ♕d6 12. ♕d2 ♕e6+ 13. ♔c2 0—0 14. ♘f4 d4 15. 0—0 ♗h6 16. ♕d1! ♕c4 17. ♗c4+ ♗×h8 18. g3 ♗a5 19 ♗g5 ♕e7 20. ♕h5 h6 21. ♕g6 ♘e2 დანებდნენ.



ნონა გაფრინდაშვილი

3 მაისი, 1941. შეიარაღებული ძალები, სპორტის ოსტატი (1958; ვაჟთა შორის 1971), საერთაშორისო ოსტატი (1961; ვაჟთა შორის 1962), სპორტის დამსახურებული ოსტატი (1964), სხრ კავშირის დიდოსტატი (1975), საერთაშორისო დიდოსტატი (1976; ვაჟთა შორის 1978). მსოფლიო ჩემპიონი 1962-1978 წლებში. ექვსი სპარტაკიადის მონაწილე.

3. კოჯლოვსკაია (რსფსრ) — ნ. გაფრინდაშვილი

ფილეტონური დაცვა

ლრჭვიანკაობა. დაძაბული პარტია. ნ. გაფრინდაშვილმა ორიგინალურად გაითამაშა პოლიდორი დაცვა. დროის დაუკარგავად იგი დაეწაფა ინიციატივას და მეფის ფრთას შეუტია. ბრძოლაში მრავალი ფიგურა მონაწილეობდა. საინტერესო ვერიანტების გახსნის შემდეგ მსოფლიოს ვიცესემპიონი მუქარამ კონკრეტული საბე მიიღო. თამაში აღსაფიქრებლად ლამაზი სცენებით, მოულოდნელი შეწირვებით. თანდათან დიდოსტატ ვ. კოლოკოსკაის მეფის ციხე-კომკი მთლიანად გაანადგურდა.

დიდი შთაბეჭდილებას ტოვებს 5. გაფრინდაშვილის შემტევი თამაში.

1. d4 d5 2. ♗f3 ♘f6 3. ♗c3 d×d4 4. ♕c2 e6 5. h3 ♗h5 6. 0—0 ♘d6 7. c4 c6 8. ♗c3 f5 9. c×d5 e×c5 10. ♕c2 ♗h6 11. ♗c1 ♘×c2 12. ♗×c2 0—0 13. ♗d3 ♕e7 14. ♘d2 g5 15. ♘ge1 ♗f6 16. a3 a5 17. b4 ♗e4 18. b×a5 ♘×a5 19. ♘b1 ♗f7 20. ♘e1 ♘d6 21. f4 ♗d5 22. ♗e5 ♗g6h8 23. ♗c3 g×f4 24. e×f4 ♗e6 25. ♗e3 ♘g6 26. ♘b3 ♘g7 27. ♗g3h2 ♘ag5 28. g3 c5 29. d×c5 ♗×c5 30. ♘b1? ♗e6 31. ♗d3 d4 32. ♘f2 ♕f8 33. ♕b2 ♗×f2 34. ♗1×f2



34. ...h5 35.h4 ♘g4 36.♗e1 ♘×h4+ 37.♔g2 ♘hg4 38. ♗g2 h4 39. ♕b3 h×g3 40. ♘×g3 ♘×g3 41. ♗×g3 d3 42. ♗h5 ♕a1+ 43. ♔g3h2 ♘g5 44. ♗g3 ♘g6 45. ♗h4 ♘×g3 46. ♗g×g3 ♕g7+ 47. ♔g3h2 ♗×f4 48. ♗×f5 ♕h7+ 49. ♔g2 ♕×f5 50. ♕b2+ ♔e5 51. ♘h2+ ♔h5. თეთრები დანებდნენ.



თამაზ გიორგაძე

9 იანვარი, 1947. „ბურევესტნიკი" თბილისი. სპორტის ოსტატი (1967), საერთაშორისო ოსტატი (1974), საერთაშორისო დიდოსტატი (1978), ბოლო ოთხი სპარტაკიადის მონაწილე.

მ. გიორგაძე — ლ. პოლუბაიესკი (რსფსრ)

ნიმანოვიჩის დაცვა

ამ საუკუნოში პარტიაში დიდ მოწონებას იმსახურებს თამაზ გიორგაძის თამაში. მან აშკარად აჯობა მსოფლიოს ერთ-ერთ ულლეჭრეს დიდოსტატს.

თ. გიორგაძემ დებიუტში გამიჯულად შესწორა პაიჯი, რამაც ხასგრძლივი ინიციატივა მოიტანა. შემდეგ პატარა კომბინაცია გამხოროცელა და დიდად პირსპექტიული ენდშპილი მიიღო. 34-ე სცენაზე უარყო შეტევის შემთავაზებული ყიში. პარტიას აშენების ქართველი დიდოსტატის ვირტუოზული თამაში ორი კუს ენდშპილისთის სარეალიზაციოდ.

1. d4 ♘f6 2. c4 e6 3. ♘c3 ♗b4. 4. ♕f3 c5 5. g3 c×d4 6. ♗×d4 0—0 7. ♗g2 d5 8. ♘b5 ♗×c3+ 9. b×c3 e5 10. ♘b5 d×c4 11. e4 a6 12. ♗e3 ♗e6 13. ♘d1 ♘b5 14. 0—0 ♘d5 15. ♘c3 ♘×d1 16. ♘×d1 a5 17. ♗d6 ♕d7 18. ♕a4 ♘c7 19. ♕a4 ♖a5 20. ♗×b7! ♗×b7 21. ♕c6 ♘c5 22. ♗×c6 ♘b6 23. ♗×d7 ♘d8 24. ♗a4 ♘×d1+ 25. ♗×d1 ♕g5 26. ♘c1 ♖c7 27. ♗a2+ ♔d7 28. ♗c2 g6 29. f3 ♕c5 30. ♕g2 ♖c8 31. ♕c1 ♕d5 32. ♔f2 ♖c5 33. ♕c1 ♕d5 34. ♔f1 ♖c7 35. ♕c2 ♔e7 36. ♘e1 ♕c5 37. ♕e2 ♔d7 38. ♘d3 ♕c6 39. ♕e2 ♖c1 40. ♗e7 ♔d8 41. ♗f8 h5 42. h4! ♔d7 43. ♗h6 ♗c6 44. ♗f4 ♖c5 45. ♔g1 ♖a4 46. ♗×h5 ♔×h5 47. ♔g2 ♖c5 48. ♗g5 ♔d8 49. ♖e8 ♖c6 50. ♗e2 ♗e8 51. f4 ♗f7 52. ♗f3 ♖a5 53. ♗b7 ♗e8 54. ♗e7+♔g5 55. ♕d4 ♖c1 56. ♗f3 ♕×a2 57. ♗×h5 ♖c1 58. ♗e8+ ♔g4 59. ♕g3. ♘ავეთი დანებდნენ.

გუხუტი გურგენიძე

12 ნოემბერი, 1933. „კოლხეთი" თბილისი. სპორტის ოსტატი (1955), საერთაშორისო ოსტატი (1968), საერთაშორისო დიდოსტატი, სხრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი (1970). ექვსი სპარტაკიადის მონაწილე.



ზურაბ აზმაიფარაშვილი

16 მარტი, 1960. „დინამო" თბილისი. სპორტის ოსტატი (1980). ბოლო ორი სპარტაკიადის მონაწილე.

ზ. აზმაიფარაშვილი — ო. რომანიშინი (უკრაინა)

ჯოუფველის დაცვა

დიდწსტატი ო. რომანიშინი ბოლომდე ვერ ჩაწვდა ახალგაზრდა ქართველი ოსტატის ორიგინალური სადებიუტო იდეას. პაიჯებიგაორება ცენტრში მან შეიდომად ჩათვალა. აზმაიფარაშვილმა მე-13 და მე-15 სვლებით პოზიციური უპირატესობა მიიღო ლაზიერის ფრაზე.

ახალგაზრდა ოსტატმა ჩინებულად მოახდინა უპირატესობის რეალიზება. აღსანიშნავია მის 24-ე სვლა, რომაც ცენტრში გარღვევა მოამზადა.

1. g3 g6 2. ♗g2 ♗g7 3. d4 d6 4. ♕f3 c6 5. 0—0 ♕f6 6. ♕c3 ♘e6 7. ♗d2 ♕bd7 8. ♗d3 ♗f5 9. c4 ♘d8 10. e×d5 0—0 11. ♘e1 e6 12. ♕f3 ♘b6 13. c5 ♘a4 14. ♗f4 ♘fe6 15. ♗4 ♗e6 16. b4 b×c5 17. d×c5 ♗h5 18. ♘e5 ♕×c5 19. ♕×e5 ♘c6 20. ♘×c6 ♗a8 21. ♘b1 ♕f6 22. a4 ♘e6 23. ♗e3 ♕h6 24. ♘d2 ♘×d2 25. ♗×d2 ♗g5 26. ♗c1 ♕e7 27. ♗a2+ ♔d7 28. ♗c2 g6 29. f3 ♕c6 30. ♕f2 ♗c8 31. ♕e2 ♗d7 32. ♗c3 ♗e6 33. ♗e3 ♗c8 34. ♗c3 ♗d7 35. ♗c1 ♗e6 36. ♗e3 ♗c8 37. ♗c3 ♗d7 38. ♗d3 ♗e6 39. ♗e3 ♗c8 40. ♗c3 ♗d7 41. ♗c1 ♗e6 42. ♗e3 ♗c8 43. ♗c3 ♗d7 44. ♗c1 ♗e6 45. ♗e3 ♗c8 46. ♗c3 ♗d7 47. ♗c1 ♗e6 48. ♗e3 ♗c8 49. ♗c3 ♗d7 50. ♗c1 ♗e6

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

მინდორზეა ორი ნაკრები

16 აგვისტოს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე 20 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ოლიმპიური ნაკრება გუნდების მმხარეებრ თამაშს. მატჩის შემადგენელი მთლიანად გადაეცა მოსკოვში გამართულებს. მემორიალური კომპოზიციის შეხენებლობის ფონებს. შეხვედრა სანიტერესო ბრძოლით დაიწყო. პირველ ნაკრებს დასაწყისში საგოძნობი უპირატესობა ჰქონდა, მე-3 წუთზე ბურთი გაიტანა ბლოხინმა, შესვენების შემდეგ ჩვენკენაც და პრიტალიმა (2) ანგარიში აიყვანეს 4:0-მდე. ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელები მხოლოდ ამის შემდეგ გააქტიურდნენ და კლემენტიევმა ზედიზედ გაიტანა 2 სამსუხეო ბურთი. მატჩი მთავრ პირველ ნაკრებმა — 4:2.

გუნდების შემადგენლობანი:

ლირველი ნაკრები — დასავეი (ვლ. ჩანთი), ბორთყანი, ჩიკაძე, ჩერეტელი (ეტერშენკო), დემიანენკო, ლორთქიფანიძე, ლიტოვჩენკო, ბალი, ოსაძისანი, ტარხანოვი (ანდრეევი), ბლოხინი (პრიტალიოვი);

ოლიმპიური ნაკრები — სიტუხა (კრაკოვსკი), იანუშევსკი, ბელიაროვი (ბრიგოდა, ვედენეევი, კუზნეცოვი, გოცმანოვი, ზავაროვი, ალენიჩოვი (სორინოვი), გურონვიჩი (კლემენტიევი), პოლომარიოვი (ჯავდოვი).

სსრ კავშირის პირველი ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ ოლიმპიური ნაკრების შეხვედრა მაზნად ისახავდა ეგროპის ჩემპიონატის შესახებ თამაშისათვის სამზადისს პოლონეთის ეროვნულ გუნდთან. 6 სეპტემბერს დაეგეგმილია სწორედ მატჩი დასავეი გერმანიის „ვერტასთან“. ავადმყოფობის გამო პირველ ნაკრებში ვერ ითამაშეს სულაქველიძემ და შენგელაიმ. სამატჩო მიზეზით არ იყო ბურიაკიც, რომელთა ნაცვლად მინდორზე გამოვიდნენ ნაკრების კანდიდატები ტარხანოვი, ლიტოვჩენკო და პრიტალოვი.

ოლიმპიელთა მწვრთნელმა ვ. სალოვამა ხაზი გაუსვა, რომ მისი გუნდი სრულ მზადყოფნაში უნდა შეხვედრ 7 სექტემბრის მატჩს უნგრეთის ოლიმპიურ ნაკრებთან. ჩვენს გუნდში სხვადასხვა მიზეზით ვერ ითამაშეს გაზაევმა, ელისეიმა, გრაჩოვმა და ვუსკოვმა, აძლევთ თქმა ახალ ფეხბურთელ.

I ლიგა

16 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 27-ე ტურის მატჩები.

ლანჩხუთის „გურია“ ჯიხაკში შეხვდა ადგილობრივ „ზეზვას“ და ამაში გაიმარჯვა ანგარიშით 1:5.

ტურის სხვა შედეგები: „დილეგა“ (რიგა) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 3:1, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „შინაკი“ (იაროსლავლი) 1:0, „დნესტრი“ (მოგილიოვი) — „ასკრა“ (სმოლენსკი) 0:0, „პამირი“ (დუშანბე) — ასკ ლონის როსტოვი) 2:2, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — ასკ „ბალტიკა“ (კალინინგრადი) 2:1, „ორტორი“ (ვოლგოგრადი) — „ქიმიკი“ (ვოლგოგრადი) 2:3, „ნეფტეჩი“ (ბაქოობაიდ) — „ცემბასი“ (ქმეროვო) 1:1, „კოლოსი“ (ნოვოროსიისკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „დინამო“ (ქირთვი) 7:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პამირი“	26	15	7	4	42-21	37
ასკ „ვ.	25	14	8	3	43-20	36
„როტორი“	26	16	3	7	40-21	35
„ლოკომო“	26	12	10	4	46-27	34
ასკ „კრ.“	25	12	9	4	29-20	33
„ზარია“	26	12	7	7	45-32	31
„ფაკელი“	26	11	9	6	27-17	31
„მეტალ.“	26	11	7	8	37-27	29
„ყუბანი“	26	10	7	9	41-32	27
„ლოკომო.“	26	9	9	8	56-32	27
„ლოკომ.“	26	9	7	10	36-29	25
„ტავრია“	26	9	7	10	49-43	25
„დილეგა“	25	9	5	11	34-40	23
„ლენპრი“	26	6	11	9	26-38	23
„შინაკი“	26	8	5	13	27-50	21
„ქიმიკი“	26	7	7	12	30-37	21
„ცემბასი“	25	9	2	14	26-48	20
„ტექსტილ.“	26	8	4	14	26-27	20
ასკ „ბ.	26	7	6	13	19-34	20
„პამირი“	26	5	9	12	22-37	19
„დინამო“	26	3	10	13	20-39	16
„ტექსტილ.“	26	3	9	14	25-55	15

II ლიგა

16 აგვისტოს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა 22-ე ტურის კალენდარული შეხვედრები. „კოლხეთი“ (ფოთი) — „კოლხოხჩი“ (სოხუმი) 3:2, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ლოკომო“ (არტაშატი) 5:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ლოკაკი“ (აბოვიანი) 1:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „ჭიათურა“ (ქირთვაბადი) 2:1, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „დილა“ (ქირი) 3:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ ბ.	20	11	4	5	36—16	26
„კოლხოხ.“	20	11	4	5	38—24	26
„ლოკ.“	20	9	7	4	46—28	25
„ლოკომ.“	20	9	7	6	27—12	24
„დილა“	20	9	5	6	29—24	23
„შირაკი“	19	10	2	7	22—20	22
„ხაზარი“	19	9	3	7	31—25	21
„ჭიათურა“	19	8	5	6	29—21	21
„ბაზარი“	20	7	7	6	24—26	21
„მეშახტე“	19	8	3	8	26—28	19
„სპარტ.“	10	8	2	9	28—24	18
„ყარაბ.“	19	8	2	9	21—21	18
„დინ.“ ს.	19	7	4	8	19—26	18
„ჭიათ.“	20	7	4	9	23—32	18
„არაზი“	19	4	4	11	20—37	12
„აეტომ.“	20	3	5	12	16—40	11
„ოლიმპია“	20	2	5	13	18—47	9

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

დასავლეთი ზონა

„მაღაროელი (ჭიათურა) — „დინამო“ (ბიჭვინთა) 2:1, მხაჭრ ა. ფიფიანი (ქუთაისი).

„ბაბჩარა“ (ჩოხატაური) — „ხჭუა“ (წალენჯიხა) 2:3. მხაჭრ ი. კაბელაძე (თბილისი).

გოლები: ჭიქმაშვა-2 („ბაბჩარა“), მოისწრაფიშვილი, ქვირია, ქვარაცხელია („ხჭუა“).

„მზიური“ (ცაგერი) — „ენგური“ (ზუგდიდი) 4:1. მხაჭრ გ. ხეფიანიანი (თბილისი).

გოლები: ქანთარია, ოსტროუკი, ქანდარა, ლიქვანელიძე („მზიური“), როგავა („ენგური“).

„მაიაკოვსკი“ (ჩხორწყუ) — „ხოლონი“ (ვანი) 0:0. მხაჭრ ბ. ჩერნიაბოვსკი (სოხუმი).

„შუქურა“ (ქობულეთი) —„ამირანი“ (ონამირე) 2:2. მხაჭრ თ. ხაფიანი (ონამირე).

გოლები: ლონდაძე-2 („შუქურა“), ბოლავაძე, შამათავა („ამირანი“).

„კოლხეთი“ (ხობი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 5:3. მხაჭრ გ. გაბისკირია (სოხუმი).

გოლები: ქიმეთიანი-3, წურწუმია, ბოსიკაი („კოლხეთი“), ხარსანია-3 („ეგრისი“).

„ხამგურაული“ (წყალტუბო) — „იმერეთი“ (წყალტუბო) 2:0. მხაჭრ გ. გვანცელაძე (თბილისი).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „ხარება“ (ბიჭვინთა) 2:1. მხაჭრ გ. ხეფიანიანი (თბილისი).

გოლები: ვ. თუთბერიძე, ნაჭყებია („დინამო“), წიკოროძე („ხარება“).

გათამაშების ცხრილი

დასავლეთი ზონა

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ“. ზ.	22	12	5	5	38—23	29
„მზიური“	23	12	4	7	35—24	28
„სამგურ.“	22	11	6	5	42—21	28
„ს.ჭური“	23	10	6	7	30—31	26
„ამირ.“	23	10	6	7	38—44	26
„სოლ.“	23	10	5	8	33—28	25
„საპოვ.“	22	9	7	6	35—22	25
„სამგრ.“	22	10	4	8	34—25	24
„დინ.“ გ.	23	9	5	9	32—37	23
„მაღარ.“	23	8	6	9	35—32	22
„სალხ.“	22	7	8	7	30—31	22
„კოლხ.“	23	6	10	7	33—37	22
„ეგრისი“	22	8	5	9	29—32	21
„ბახვ.“	23	7	6	10	20—27	20
„ონურ.“	23	6	8	9	32—32	20
„სარემ“	23	7	5	11	29—33	19
„ენგური“	22	7	4	11	20—44	18
„მეტალ.“	22	5	8	9	32—33	18
„შუქურა“	22	3	6	13	29—50	12

საქართველოს პირველობა

II ჯგუფი

ალმოსავლეთი ზონა

„ბახტრიონი“ (ახმეტა) —„იმედი“ (რუსთავი) 4:4, „ბობოლი“ (ახალქალაქი) — „გარისხი“ (თეთრი წყარო) 4:0, „ზარზმა“ (ადიგენი) — „იბერია“ (ქარელი) 1:2, „გარეჯი“ (სიგნაღი) — „მაშავერა“ (დმანისი) 4:3, „ვარძია“ (ასპინძა) — „არაგვი“ (ფინეთი) 0:1, „გამთიალი“ (ყასპი) — „ალგეთი“ (მარნეული) 0:1. მეიაპირის „მშენებელ“ გამარჯვება ჩაეთვალა წაგებად.

დასავლეთი ზონა

„შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „იმერეთი“ (ჭიათურა) 2:2, „ბზიფი“ (გუდაუთა) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:2, „გეგანტი“ (ლანთური) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 1:0, „ავიატორი“ (სოხუმი) —„ავტომობილისტი“ (ახაშა) 4:4, „თოლია“ (ბათუმი) — „კოლმეურნე“ (დვაბზუ) 0:2, „ნავთყვაკი“ (ოქტომბერი) — „ხვამლი“ (ცაგერი) 2:1, „კოლმეურნე“ (ვულითიში) — „პოლტავნიკი“ (ახალი ათონი) 1:1.

ზონალური პირველობა

„კოლმეურნე“ (ჭიქმა ჭიდი) — „ჭისტაური“ (ახმეტა) 2:0, „არგონავტი“ (ცხინვალი) — „ლოკომოტივი“ (ფოთი) 1:0, „ალაზანი“ (ყვარელი) — „ნეკრესი“ (კახეთი) 2:0, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჩოხატაური“ (ლანჩხუთი) 3:0, „ენერგია“ (ზესტაფონი) — „ფაზისი“ (ფოთი) 3:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (ხაშური) 2:0, „ფაზისი“ (ფოთი) — „ალაზანი“ (ყვარელი) 2:2, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „არგონავტი“ (ცხინვალი) 1:0.

III ჯგუფი

ალმოსავლეთი ზონა

„ალაზანი“ (ყვარელი) — „ნეკრესი“ (კახეთი) 2:0, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „არგონავტი“ (ცხინვალი) 1:0, „ენერგია“ (ზესტაფონი) — „ფაზისი“ (ფოთი) 3:1, „მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (ხაშური) 2:0, „ფაზისი“ (ფოთი) — „ალაზანი“ (ყვარელი) 2:2, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „არგონავტი“ (ცხინვალი) 1:0.

დასავლეთი ზონა

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ჭისტაური“ (ლაგოდეხი) 0:3, „ენგური“ (წნორი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხი) 3:1, „მეშახტე“ (ვაკა) — „სამგრეხი“ (ბორჯომი) 2:2, „ავტომობილისტი“ (დმანისი) — „იორი“ (თიანეთი) 0:2, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „კოლმეურნე“ (ორპირი) 3:3, „კოლმეურნე“ (ახმეთი) — „ცივი“ (ცხაკაია) 10:3. ვინაი „სანრინოს“ დამარცხება ჩაეთვალა ზესტაფონის „ტორპედოსთან“.

11-მატრიანი უდიდესი ინტერესით ელოდა

არასპორტული საქციელისთვის ჯერ გაგრძნობილ, შემდეგ კი მინდორიდან გაძეძეული ლაგოდეხის „ვარდისუბანის“ ფეხბურთელი ა. წულაძე (სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ს. ჯალიაშვილი).

ასპინძის „ვარძიის“ ფეხბურთელ ბ. მამუკაშვილს „ბობოლის“ დამთავრების შემდეგ ურჩი სპორტული ჩადენისთვის ჩამორთმეული შეხვედრის მონაწილის ბარათი (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე პ. ჭავთარაძე).

წლევანდელ სეზონში მეორედ გაფრთხილდა წალენჯიხის „სპორტის“ ფეხბურთელი ნ. ბოჯგუა (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. მებონავი).

გაფრთხილდნენ შემდეგი ფეხბურთელები: ვ. ჩხაიძე (სოხუმის „ავიატორი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნ. დარაბელიძე), ე. არაბული (ახმეტის „ბახტრიონის“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. ჭინჭარაული), ა. უძილიური (ქედის „კოლმეურნე“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. ყორიაშვილი), ე. თუთბერიძე და ბ. ზეტია (ზუგდიდი — დინამო“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. ხორავა), გ. აფაქიძისეული (მაიაკოვსკის „სარემე“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. ფერაძე), ე. ბაანია (ონამირის „ამირანი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ი. არჩია).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

5068 მაყურებლისა 187 გაძეძეა

როგორც კი ინგლისში 1982-83 წლების ჩემპიონატი დამთავრდა, ასეთი სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნდა: ოთხივე ლიგაში უხეში თამაშის გამო 5068 ფეხბურთელმა გაფრთხილება მიიღო, 187 კი მინდვრიდან გაძეძეს.

ეუნაბიის ნაკმაცები „დებიუტი“

წარსულში ბენეფისით ფეხბურთელი ეუნაბიო დიდხან ვერ ბედავდა მწვრთნელად დამოუკიდებლად მეთაობას და ბოლო ხანებში ლისაბონის „ბენფიკას“ მაბიცებს ავარჯიშებდა.

ახლა ეუნებიო სათავეში ჩაუდგა პორტუგალიის პირველი ლიგის კლუბს „ვარკიმს“, რომელსაც პორტუგალიის ჩემპიონატისთვის ამზადებს.



უძლიერესად აღიარეს იუკავიჟი

ეს გამოკითხვა პრაღის პოპულარულმა გაზეთმა „ჩეხოსლოვენსკაი სპორტმა“ ჩაატარა, რომელშიც 230 მოკმედი ფეხბურთელი მონაწილეობდა; მათ უნდა დაესახელებინათ რესპუბლიკის № 1 მოთამაშე.

90 ხმით ჩვენსლოვაკიის № 1 ფეხბურთელად აღიარეს იურკემიკი (ბრატისლავა „სლოვანი“). 33 ხმით მეორე ადგილზეა ვიზეკი (პრაღის „დუკლა“). 24 ქულით მესამეა ბიროკეი (პრაღის „ბოჰემიანსი“). შემდგომ ადგილებზე არიან ხალუპკა („ბოჰემიანსი“), პრუშკა („ბოჰემიანსი“) და ა. შ.

ამ ანკეტის შედეგად გამოვლინდა 1982-83 წლების ოცდაერთი ნაკრებიც: პრუშკა, იაკუბეცი, პროკეში, იურკემიკი, ლუკა, ხალუპკა, ზელენსკი, ბიროსკა, ვიზეკი, გრიგა, იანეჩკა.

7 გოლი ბომბარდელთა კარზე

როცა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გერ) ნიურნბერში ჩავიდა და იქაურ „კოსმოსს“ შეხვდა, ფეხბურთის მცოდნენი ამერიკელთა მარცხს მოელოდნენ. პირველ ტაიმში ეს ასეც მოხდა — ჰამბურგელები დაწინაურდნენ — 2:1, მაგრამ შესვენებიდან შემდეგ მათ ხედიზედ 6 გოლი გაიტანეს!



„შახტიორი“ შანსებში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ტურნეს განაგრძობს დონეცკის „შახტიორის“ ფეხბურთელთა გუნდი. დონეცკელებმა მეორე მატჩი გაბარონ შანხაიში ადგილობრივ ნაკრებთან.

„შახტიორმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:0, ბურთები გაიტანეს იაშჩენკომ და აკიმენკომ.

„ოქროს თავთავისთვის“

საორგანიზაციო კომიტეტმა „ირაო“ ცენტრალური საბჭო ყოველწლიური ტრადის სოფლის მეურნეობის ტრადიციის „ოქროს თავთავის“ თასის გათამაშებას.

თასის ზონალურ პირველობაზე, რომელიც კ. სამარყანდში გაიმართა, საქართველოს გუნდში წარმოდგენილი იასპარეზე, დაამარცხა თურქმენეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის გუნდები, ფრედ ითამაშა ყაზახეთის ნაკრებთან და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

ფინალში გამოდიოდნენ 8 მონაწილე. საქართველოს ფეხბურთელებმა ერთად ერთ ქვეჩაფუშში თამაშობდნენ ყაზახეთის, უკრაინისა და რსფსრ-ს I კლუბებები. აქ ჩვენმა გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი, პრაქტიკულად ქვეჩაფუშში კი გამარჯვება მოიპოვა უზბეკეთის კოლექტივმა.

საქართველოსა და უზბეკეთის გუნდების ფინალური შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. დამატებითი პენალტების სერიამ წარმატება მოუტანა უზბეკებს — 5:4.

საქართველოს ნაკრების ლირსების იცავდა ლანჩხუთის რაიონის ჩაის ფაბრიკების გვართანიანის გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ შ. პატარაია, ქ. იმნაიშვილი და რ. ფირცხალაიშვილი.

3. ჯავრია,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების ფეხბურთელთა გუნდი.

ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83

ეს ფარიკაობაა!

30ნე ერთხელ მაინც დაწერებია მოგზაურებებს, ველარახიდებ დარჩება გულგრილი ამ სახეობის მიმართ. მეოცე საუკუნის მეშვიდეტრია ოლიმპიადებში უხვად არის ის ყველაფერი, რითაც ხაერთოდ გვხიბლავს სპორტი — ბისწრაფე, გამბედაობა, ნერვების ჯიდილი, ამარად გამოხატული გამარჯვების სიხარული და მარცხის სიმწარე.

გამონაკლისი არც სახპარტაკიადო ტურნირი ყოფილა. გუნდითვის თავდადება, ბრძოლა უკანასკნელ ჩხვლეტამდე — ახეთი იყო ეს ხაინტერესო და დაძაბული შეჯიბრება. ხეზონის უმნიშვნელოვანეხი სტარტების ხწორედ ეს რეალეებია აღბეჭდილი მოსკოველი ფოტოკორეპორტიორის ა. ხვერდლოვის ფოტორეპორტაჟში.



● ᲞᲐᲓᲠᲐᲘᲐ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ

ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ქალაქ ბუკარამანგაში დამთავრდა მსოფლიო პირველობა 16 წლამდე ჰაბუკთა შორის. ტურნირში 29 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

როგორც ეიფუკნობოდით, ჩემპიონზეს ტიტული ვადამდე მოიპოვა 14 წლის ყველაზეოდულკელა ალექსი დრეევმა. დასკვნით ორ ტურში ახალმა ჩემპიონმა ქულებანეკარი მოაგროვა და 10 ქულით (11-დან) I ადგილი დაიკავა.

16 წლამდე ჰაბუკთა შორის მსოფლიო პირველობის გათამაშება ფიდე-მ 1981 წელს შემოიღო. I ჩემპიონატში, რომელიც არგენტინაში გაიმართა, ინგლისელმა სტიუარტ კონკერმა გაიმარჯვა, II-ში (მას ეკატერინა უმასპინძლა) — საბჭოთა მოჭადრაკემ ეკატერინა ბარეევმა.

ᲡᲢᲐᲠᲢᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ქალაქ ბელფორში დაიწყო მსოფლიო პირველობა, რომელშიაც უნდა დაასპობელოს ჩემპიონი 20 წლამდე ჰაბუკთა შორის. ეს ტურნირი 1951 წლიდან ტარდება.

ასპარეზობაში 54 ქვეყნის წარმომადგენელი ჩაება. მათ შორისაა ორი საბჭოთა ოსტატი — ვალერი სალოვი და ევგენი ბარეევი.

ჩინებოდით აიღო სტარტი სალოვმა — 3 ტურში სამიეე პარტია მოიგო. ბარეევს 1,5 ქულა აქვს.

● ᲨᲐᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ I ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ დამთავრდა სსრ კავშირის 30-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ასურკიან შაში. 28 მოშაშე, მათ შორის ობილისელი ოსტატი ა. გიოხმანი, ჩემპიონატის უმაღლესი (ორი) და პირველი ლიგის (სამი) ხაჭიროებისთვის იბრძოდა. შეჯიბრება შეეცადოთ სხსტემით, 9 ტურად ჩატარდა.

დამაბული თამაშის შემდეგ თბილისელი ოსტატი I ლიგის ხაჭურს დაეუფლა. მართალია, მან 5,5 ქულით სამ ოსტატთან ერთად III-VI ადგილები გაიყო, მაგრამ რაკი კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა, III ადგილი მიეკუთვნა ამრიგად, სპორტველს წარმომადგენელი პირველად ითამაშებს I ლიგაში.

I ლიგის ასპარეზობა ქ. კალინინში 10 ნოემბერს დაიწყება.

ჯ. ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲔᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ „ᲐᲘᲐ"

წარმატებით დასარულეს გეორგიევსკის ტრაქტორის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საწყალსინო გადასვლა თბილისი-ასტრახანი-თბილისი საქართველოს დედაქალაქის მეცნიერ-მუშაკებმა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სპორტულ კლუბ „ამირანში". ახლა უხტაფეტ მთელი ქუთაისელ წყალკომარიკლუთა რაზმმა „აიამ", რომელმაც მარშრუტი ათელ ასტრახანი—ვოლგოგრადი — როსტოვი—ქერჩი—ნოვოროსიისკი —ფოთი—ქუთაისის მიმართულებით.

ასტრახანიდე ტურისტების მოტორიან ნავებს ჩაიტანეხ ქუთაისის ქარხნის ახალი ავტომობილები, რომლებიც აღურვილი არიან ადგილობრივი წარმოების პირველი დიზელის ძრავებით. მოგზაურობაც დროს სპორტსმენები შეჰხდებიან იმ ქალაქების სწარმოთა კოლექტივებს, სადაც ჩავლენ, ესაუბრებიან რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ამ პირველი მაღიტების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

საწყლოსნო გადასვლა მოაწყეს ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის კომკავშირის რაიკომმა, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტმა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კლუბმა „კოლხეთმა". მოგზაურთა შორის არიან ვეტერანლისტი თამაზ ხარაბაძე, ლაშქრობის ხელმძღვანელი დურაშხან წითური, ახზორი თორთლაძე, ოთარ ჭელაბაიანი, ალეკო ბიბინაიე, ვლადიმერ ხარებავა.

• • •

ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ: „აიას" ეკიპაჟი.

ჯ. ᲒᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოკრონიკა).

ამ ამერიკელი ქალის ფოტოსურათები ხშირად იბეჭდება აშშის სპორტულ ჟურნალებსა და გაზეთებში. მერი დეკერ-ტები 25 წლისაა. ურნალი „ნიუს უოლდმა" მას „საუკეთესო დისტანციებზე უდიდესი ამერიკელი მორბენალი" უწოდა.

დეკერ-ტები წარმატებით გამოდის 800-დან 10000 მეტრ დისტანციებზე. ჟურნალი „ამერიკენ უეი" წერს: „მასაც სჩვევია მსოფლიო რეკორდების დამრღვევი. შარშან მან ეს ხერხი მოაჩერხა". მაგალითად, როცა მერიმ შარშან ივლისში დამყარა ოქმილსეს მსოფლიო მიღწევა 10 000 მეტრზე რბენაში, რეკორდი ერთბაშად 42 წამით გაუმჯობესდა.

...თავიდანვე ყველაფერი ისე წარიმართა, რომ პატარა გოგონა გაზრდილიყო არა პარტი სპორტმენი, არამედ სწორედ ვირბენალი. მერი დაიბადა ოჯახში, სადაც ბებია აქტიურ დასვენების ერთერთ საუკეთესო სახედ ითვლება. ჯერ კიდევ 11 წლისამ დაიწყო ასპარეზობა, თავისი პირველი მსოფლიო. რეკორდი მან 15 წლისამ დაამყარა.

დეკერ-ტებს მიაჩნია, რომ მან თავისდაუნებურად სამი ოლიმპიადა გამოტოვა. 1972 წელს, მიუხედავად ობისა, რომ საშუალო დისტანციებზე რბენაში მსოფლიო კლასის მიაღწია, თამაშებზე გამოსვლის უფლება არ მისცეს. მერი მაშინ 13 წლის იყო, ოლიმპიელი კი 14-ის ხანის უნდა ყოფილიყო. 4 წლის შემდეგ კი დასანანმა ტრავმამ ჩაშალა დეკერ-ტების პატივმოყვარული გეგმები. ხპორტსმენი იმედებს მოსკოვის ოლიმპიადაზე ამყარებდა, მაგრამ თეთრი სახლის პოლიტიკოსებმა დაამხეჩრიეს მისი ოცნებები. ბოიკოტის კმაშინამ გული დასწყვიტა აშშ-ის სპორტსმენებს და მათ შორის დეკერ-ტებსაც.

ახლა მერი ცხოვრობს იუჯინში და ვარჯიშობს ქმართან, საერთაშორისო კლასის მარათონელ რონთონთან ერთად.

ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატზე მერი დეკერ-ტებმა ორი ოქროს შედალი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო 1500 და 3000 მეტრზე რბენაში.

მისი მთავარი გეგმები დაკავშირებულია 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებთან. „ოლიმპიადაზე 3000-მეტრიან დისტანციაზე ვაპირებ ასპარეზობას, და შესაძლოა კიდევ ერთ, უფრო გრძელ დისტანციაზე გამოვიდე", — თქვა მან. პირველ დისტანციაზე მერი შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევს სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებისგან. „ისინი ეცდებიან გამასწორონ დისტანციის ბოლო

მერი, რომელსაც სირბილი უყვარს

წრეზე, — ფიქრობს მერი, — ასეთ პრაქტიკას არაერთხელ მოუტანია მათთვის წარმატებები სხვა შეჯიბრებებზე". ამიტომ იგი სპეციალურად ეშხადება ამ რიული ტაქტიკური გაბრძნისთვის. „ვეცდები ისე ვირბინო, რომ მეტოქეებს არ მოეწონოთ". ანალიზებენ რა ამ სიტყვებს, სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ მერი მეტოქეებს უეცრად სწრაფ, ქანცმაცველ ტემპს უხვთავაზებს, მაგრამ ეს არაფრით დაეტყობა დეკერ-ტების რბენის ტექნიკს: მისი ხანიერი ფართო და პლასტიური. მერი დიდ იმედებს ამყარებს „საკუთარ" ტრიბუნებზეც. „მიყვარს, როცა ტრიბუნაზე ბევრი გულშემატკივარია, ეს მამხნევებს და მერე უკვე მათთვის გამოვდივარ".

...მერი ამბობს, რომ იგი მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად როდი დარბის. „ჩემი მეტოქე — დროა, ეცდილმა გავიუმჯობესო პირადი დრო, მაგრამ, ყველაზე მთავარია ის, რომ მე უბრალოდ მიყვარს რბენა". — ხაზს უსვამს სპორტსმენი.

(საკრდესი).



ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეიკრიბა 13 აგვისტოს გამართული 33-ე ტარაქიბის შედეგები.

„**ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 6 49-ᲓᲐᲜ**": ექვსი ციფრი ეეროვნენ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (12 ბილეთი) მოგება 3479 მანეთია, ოთხისთვის (703) — 59, სამისთვის (13963) — 4.

„**ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 5 36"-ᲓᲐᲜ**: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (11 ბილეთი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (2206) — 148, სამისთვის (69801) — 7.

მოგებული თანხის განაღდება — 24 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით.

რედაქტორის მოადგილე
უ. ᲒᲘᲒᲘᲜᲐᲫᲔ.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და პარასკევობით. რედაქციის მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპარტამენტების — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: უცხოეთის — 99-81-71 93-97-56; ხელოვნება და ლიტერატურა — 93-97-55; სპორტის პრობლემების — 93-97-51; ეკონომიკა და ხოფლის ხალხარეობის — 93-97 53; ბიუროები — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორესპონდენტები — 93-97-49; გაფორმების — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეხსიერების — 93-97-57.

საბაჭოთა კავშირის კპ ცკ-ის გაზეთებისადმი ზარიის ყოფილი ორდენოსანი სტამბა, 380098, თბილისი — 98, ლენინის ქ. № 14. იტვირთება ოზნებული წესით ხაბეჭდო კომპანიაში, ბოსტანაულის ქ. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 უე 07717